



გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის

წესი

2018

წელი

# დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება .....	3
მუხლი 3. სტუდენტის შერჩევის პროცედურა .....	4
მუხლი 4. პროფესორის შერჩევის ზოგადი პროცედურა .....	5
მუხლი 5. სტუდენტის მიერ უცხოურ ენაში კომპეტენციის დადასტურება .....	5
მუხლი 6. სტუდენტების მიერ პარტნიორ უნივერსიტეტში საგნების არჩევა.....	6
მუხლი 7. პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის რეგისტრაცია .....	7
მუხლი 8. სტუდენტის მიერ გავლილი საგნების აღიარება .....	7
მუხლი 9. სწავლის გადასახადი პარტნიორ უნივერსიტეტში.....	7
მუხლი 10. სტუდენტების ვალდებულება.....	8
მუხლი 11. პროფესორების ვალდებულება .....	8



## მ უ ხ ლ ი 1. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

1. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში პარტნიორ უნივერსიტეტებში. სტუდენტების შემთხვევაში, გაცვლითი პროგრამის ხანგრძლივობა 1 სემესტრია. პროფესორების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს რამდენიმე დღე.
2. გაცვლითი პროგრამებისთვის სტუდენტებისა და პროფესორების შერჩევა ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.
3. საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება.
4. სტუდენტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში შეუძლიათ აირჩიონ ინგლისურენოვანი კურსები ან კურსები იმ ენაზე, რასაც ევროპის უნივერსიტეტი სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში.

## მ უ ხ ლ ი 2. კ ო ნ კ უ რ ს ი ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა

1. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით.
2. რექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში აისახება გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადა, საკონკურსო პირობები და შერჩევის კრიტერიუმები.
3. კონკურსის პირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე სასწავლო ბაზისა და სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით ეგზავნება სტუდენტებსა და პროფესორებს. საჭიროების შემთხვევაში ტარდება შეხვედრები, ასევე შესაძლებელია სატელეფონო კომუნიკაცია. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ კონსულტაციისთვის მიმართონ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
4. კონკურსანტების შერჩევა ხორციელდება კომისიის მიერ.
5. სტუდენტებმა და პროფესორებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, აუცილებლად უნდა შეავსონ აპლიკაცია ელექტრონული/ფიზიკური ფორმით და



წარადგინონ კონკურსის წესით განსაზღვრული დოკუმენტები საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში.

6. მოთხოვნილი დოკუმენტები შეიძლება მოიცავდეს:

ა) პარტნიორ უნივერსიტეტში რეგისტრაციის ფორმას;

ბ) ევროპის უნივერსიტეტში მიღებულ შეფასებებს/გავლილი საგნების შესახებ ინფორმაციას;

გ) CV;

დ) სამოტივაციო წერილი;

ე) ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა მოთხოვნილ იქნას მხოლოდ დოკუმენტების ნაწილი ან დამატებითი დოკუმენტები, რაც განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე.

7. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ბაკალავრიატის (III, IV, V, VI, VII სემესტრის), მაგისტრატურის (I, II, III სემესტრის), ასევე ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (III- VI სემესტრის) სტუდენტებს.

8. კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტი პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი/წასაკითხი კურსის ენას ფლობდეს მინიმუმ B1. დონეზე.

9. რექტორის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს სტიპენდია, რომელსაც კონკურსის წესით შერჩეული სტუდენტი ან/და პროფესორი მიიღებს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების მ

### მ უ ხ ლ ი 3. ს ტ უ დ ე ნ ტ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ი ს კ რ ო ც ე დ უ რ ა

1. სტუდენტის მიერ აპლიკაციის შევსება;

2. უცხოურ ენაში გამოცდა ზეპირი ან წერიტი ფორმით;

3. საჭიროებისამებრ, სპეციალობაში გასაუბრება;

4. სტუდენტის შერჩევა და კონკურსის შედეგების გამოცხადება;

5. შერჩეული სტუდენტის მიერ დოკუმენტაციის შეგროვება;





6. დოკუმენტაციის ფიზიკური ფორმით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში წარდგენა;
7. სტუდენტის დოკუმენტაციის შემოწმება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ;

## მ უ ხ ლ ი 4. პ რ ო ფ ე ს ო რ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ი ს ზ ო გ ა დ ი პ რ ო ც ე დ უ რ ა

1. პროფესორის მიერ აპლიკაციის შევსება;
2. ევროპის უნივერსიტეტში უცხოურ ენაზე ლექციის კომისიის წინაშე ჩატარება (მინიმუმ B2 დონის დადასტურება ენობრივი კომპეტენციის კუთხით, ასევე პედაგოგიური უნარ-ჩვევების შეფასება);
3. პროფესორის შერჩევა და კონკურსის შედეგების გამოცხადება;
4. შერჩეული პროფესორის მიერ დოკუმენტაციის შეგროვება;
5. დოკუმენტაციის ფიზიკური ფორმით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში წარმოდგენა;
6. დოკუმენტაციის შემოწმება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ.

## მ უ ხ ლ ი 5. ს ტ უ დ ე ნ ტ ი ს მ ი ე რ უ ც ხ ო უ რ ე ნ ა შ ი კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ი ს და და ს ტ უ რ ე ბ ა

1. სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების ენაში კომპეტენციის დონე. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს მინიმუმ B1. უმრავლეს შემთხვევაში, მინიმუმ B2.
2. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფორმით:
  - ა) კომისიის წინაშე ზეპირი გამოცდის სახით (B1 კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში). ამ შემთხვევაში, ქულათა მაქსიმალური ოდენობაა 100. მინიმალური 60.
  - ბ) B2 კომპეტენციის დადგენისას, ოთხივე ენობრივ უნარ-ჩვევაში (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა) გამოცდა. ქულათა მაქსიმალური ოდენობაა 100. მინიმალური 70.
2. კონკურსანტის მიერ, მიუხედავად საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენისა, ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა.



## მ უ ხ ლ ი 6. ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ი ე რ პ ა რ ტ ნ ი ო რ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ შ ი ს ა გ ნ ე ბ ი ს ა რ ჩ ე ვ ა

1. კონკურსის გამოცხადებას თან ახლავს ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, პარტნიორ უნივერსიტეტში კონკრეტულ სემესტრში არსებულ საგნებთან დაკავშირებით (საგნების ჩამონათვალი, სასწავლო კრედიტები, სწავლების სემესტრი, სხვა აუცილებელი ინფორმაცია). ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ასევე წინასწარ მოხდეს საგნის სილაბუსის გამოთხოვა.
2. კონკურსისა და პარტნიორ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმაცია კონკურსის დაწყებამდე მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან და იურიდიულ სამსახურთან კოორდინაციის პირობებში, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, რეკომენდაციას უწევს სტუდენტს შესაბამის საგნებთან და ევროპის უნივერსიტეტის პროგრამებთან თავსებადობასთან დაკავშირებით.
3. სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ აუცილებლად გაიარონ კონსულტაციები პარტნიორ უნივერსიტეტში ასარჩევ საგნებთან დაკავშირებით.
4. იმ შემთხვევაში თუ პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ უკვე არჩეულ საგნებთან დაკავშირებით რაიმე შეიცვალა (კრედიტის მოცულობა, კონკრეტულ საგანთან დაკავშირებით ჯგუფი აღარ შედგა და ა.შ.), პარტნიორ უნივერსიტეტში მყოფმა სტუდენტმა აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. თუ განაცხადის გაკეთება ხდება შემოდგომის სემესტრში გაზაფხულის სემესტრისთვის, საგნები შეირჩევა მომდევნო გაზაფხულის სემესტრის ან წინა სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საგნების ჩამონათვალიდან.
6. თუ განაცხადის გაკეთება ხდება გაზაფხულის სემესტრში მომდევნო სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, საგნების არჩევა ხდება მომდევნო წლის შემოდგომის სემესტრის ან იმავე სასწავლო წლის წინა (შემოდგომის) სემესტრის საგნებიდან.



## მ უ ხ ლ ი 7. პ ა რ ტ ნ ი ო რ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ შ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი ს რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

1. პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს აგვარებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ვიცე-რექტორის საგარეო ურთიერთობების მიმართულებით და დეკანების ჩართულობით.
2. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ეგზავნება პარტნიორი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
3. წარმოდგენილი კანდიდატის მიღება არის პარტნიორი უნივერსიტეტის დისკრეცია.
4. პარტნიორი უნივერსიტეტი სტუდენტის მიღება/არმიღების შესახებ წერილობით აცნობებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტს ევროპის უნივერსიტეტში სტატუსი არ უჭერდება და ფინანსური შეღავათის ფარგლებში, არ იხდის სწავლის სემესტრულ საფასურს.

## მ უ ხ ლ ი 8. ს ტ უ დ ე ნ ტ ი ს მ ი ე რ გ ა ვ ლ ი ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი ს ა ღ ი ა რ ე ბ ა

1. სტუდენტის მიერ გავლილი საგნების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს სტუდენტის ან თავად პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ.
2. უნივერსიტეტი ახორციელებს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას/გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

## მ უ ხ ლ ი 9. ს წ ა ვ ლ ი ს გ ა და ს ა ხ ა დ ი პ ა რ ტ ნ ი ო რ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ შ ი

1. პარტნიორ უნივერსიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები იხდიან ადგილზე არსებულ სწავლის გადასახადს.
2. ზოგიერთ შემთხვევაში, უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, სტუდენტები იხდიან სწავლის შემცირებულ საფასურს.



## მ უ ხ ლ ი 10. ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. სტუდენტი აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას, სადაც განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობები.
2. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უნივერსიტეტის სტიპენდიის გარეშე რეგისტრირდება პარტნიორი უნივერსიტეტის სასწავლო კურსებზე, მგზავრობასთან, განთავსებასთან, დაზღვევასთან, სწავლის გადასახადთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს თავად სტუდენტი.

## მ უ ხ ლ ი 11. პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი ს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროფესორები ვალდებული არიან ჩაატარონ ლექციები კონკურსის პირობების შესაბამისად და უკან დაბრუნების შემდეგ, წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში.

